

### თავი 3 საერთო ტრაგედია

ჯუნგლებში გამავალი ბილიკი ნელ-ნელა ფართოვდებოდა. როდესაც ჯონათანმა მიაღწია პატარა ტბას, შუადღის მზე ზენიტში იყო და მხურვალედ კაშკაშებდა მის თავზე. იგი ტბასთან დაიხარა, ხელებით წყალი ამოხაპა და გაგრილება დააპირა. უეცრად ვიდაცის ხმა გაიგონა:

– შენს ადგილზე ამ წყალს არ დავლევდი.

ჯონათანმა მიიხედა და დაინახა ტბის ნაპირთან მუხლჩახრილი მოხუცი, რომელიც პატარა თევზებს არჩევდა. მას გვერდზე ედო კალათი, მკედის გორგალი და ტალახში ჩასობილი რამდენიმე ანკესი, რომელთა მკედლებიც წყალში ტივტივებდა.

– მოდის თევზი? – ზრდილობიანად იკითხა ჯონათანმა.

მოხუცმა არც კი შეიწუხა თავი რომ ამოეხედა და ისე უპასუხა:

– არა, ამ წვრილი თევზის გარდა ვერაფერი დავიჭირე. – მან განაგრძო თავისი საქმე, თევზი გადაარჩია, დაჭრა და დააგდო პატარა ტაფაზე, რომელიც იქვე მბუუტავ კოცონზე ცხელდებოდა. ტაფაზე დაგდებული თევზი შიმშილებდა და გემრიელ სუნს აფრქვევდა. ჯონათანმა შენიშნა ყვითელხოლეება გარეული კატა, რომელსაც იგი ჯუნგლებში ადრეც წააწყდა. კატა თევზის ნარჩენებს მიირთმევდა.

– სატყუარა ხომ არ გამოგეცვალათ? – ურჩია ჯონათანმა, რომელიც თავს გამოცდილ მეთევზედ მიიჩნევდა.

კაცმა ყურადღებით შეათვალიერა ის.

– ჩემს სატყუარას დასაწუნი რა აქვს, შვილო! ამ ტბაში რაც კი საუკეთესო თევზი იყო, მე დავიჭირე.

ჯონათანმა იგრძნო, რომ მეთევზეს საუბრის გაგრძელება არ სურდა და გადაწყვიტა ცოტა ხანს ხმა არ ამოელო და დაკვირვებოდა მას. ბოლოს, მეთევზემ ანიშნა, კოცონთან დამჯდარიყო და მასთან ერთად პური და თევზი ეჭამა. დამშეულმა ჯონათანმა ხარბად შეჭამა შემოთავაზებული საჭმელი. იგი ერთობ დამნაშავედ გრძნობდა თავს მოხუცებულს ღარიბულ სადილში რომ ჩაეხიარა. ჭამის შემდეგ ჯონათანი კვლავ არ იღებდა ხმას. დარწმუნებული იყო, მოხუცებული პირველი დაიწყებდა საუბარს.

– უწინ აქ მართლაც დიდი თევზი მოდიოდა. მაგრამ ყველაფერი დაიჭირეს და მხოლოდ ეს წვრილი თევზიღა შემორჩა, – სევდიანი ხმით წარმოთქვა მამაკაცმა.

– მაგრამ ისინიც ხომ გაიზრდებიან? – იკითხა ჯონათანმა. იგი მიაშტერდა ღერწმით მოფენილ ტბის ნაპირს, სადაც შეიძლებოდა უამრავი თევზი ყოფილიყო დამალული.

– არა. ხალხი აქ პატარა თევზსაც კი არ აჩერებს. გარდა ამისა, ეს ტბა სანაგვედაც აქციეს. ხედავ, რა ნაგავსაყრელია იქითა ნაპირზე.

ჯონათანი გაოგნდა.

– თქვენს თევზს რატომ იჭერენ და რატომ ანაგვიანებენ თქვენს ტბას?

– ო, არა. ეს ჩემი ტბა სულაც არ არის. ის ყველას ეკუთვნის – ისევე, როგორც ტყე და წყარო, – თქვა მოხუცმა.

– ეს თევზი ყველასია... – ჯონათანი დაფიქრდა. ჩემიც? ახლა იგი ნაკლებად ადანაშაულებდა საკუთარ თავს იმაში, რომ გაიზიარა მოხუცებულის მწირი სადილი, რომლის მომზადებაში მონაწილეობაც კი არ მიუღია.

– მასეც არ არის, – თქვა მამაკაცმა, – ის, რაც ყველასია, არავის ეკუთვნის – სანამ თევზი ჩემს ანკესზე არ წამოეგება. აი მაშინ ის უკვე ჩემია.

– ვერ გავიგე, – თქვა დაბნეულმა ჯონათანმა და თავისთვის გაიმეორა, – თევზი ყველასია, რაც ნიშნავს, რომ ის არავისი არ არის მანამ, სანამ ის შენს ანკესზე არ წამოეგება. მაშინ გამოდის, რომ ის შენია? მაგრამ ზრუნავთ იმაზე, რომ თევზი გამრავლდეს?

– რა თქმა უნდა, არა, – ოდნავ ირონიულად უპასუხა მამაკაცმა, – რატომ უნდა ვიზრუნო თევზზე, რომელიც შეიძლება სხვამ დაიჭიროს ნებისმიერ დროს? რისთვის ვიწვალო, სხვა რომ მოვიდეს, თევზი დაიჭიროს და ტბა დაანაგვიანოს?!

– მოხუცმა ნაღვლიანად დახედა წყალს და დასძინა:

– მე მართლაც მინდა მქონდეს ჩემი ტბა. მაშინ ვიზრუნებდი თევზის მომრავლებაზე. ისევე გავუფრთხილებოდი ტბას, როგორც მწყემსი, რომელიც აი იმ ველზე მწყემსავს თავის ნახირს. გავამრავლებდი კარგი ჯიშის თევზს და მერწმუნე, ვერაფერს მომპარავდა მას და ვერ დამინაგვიანებდა ტბას.

– ახლა ტბას ვინ პატრონობს? – შეაწვევტინა ჯონათანმა.

მეთევზის გარუჯულმა სახემ მკაცრი გამომეტყველება მიიღო.

– ტბა ლორდთა საბჭოს მმართველობაშია. საბჭოში ლორდების არჩევა ოთხ წელიწადში ერთხელ ხდება. ამის შემდეგ, საბჭო მმართველს ნიშნავს და უხდის მას ჩემი გადასახადებიდან. მმართველი ვალდებულია ტბაზე თევზჭერა და სისუფთავე გააკონტროლოს. სასაცილო ის არის, რომ ლორდების მეგობრებს შეუძლიათ ისე დაიჭირონ თევზი და დაანაგვიანონ ეს ადგილი, როგორც მათ გაუხარდებათ.

ორივე იჯდა და ვერცხლისფერი ტბის ზედაპირზე ქარით ათამაშებულ ტალღებს დასცქეროდა. ჯონათანმა შენიშნა ყვითელი კატა, რომელიც პირდაპირ მის თევზს მისჩერებოდა, სადაც თევზის თავი იდო. მან თევზის თავი კატას გადაუგდო, რომელმაც ის კოხტად დაიჭირა კლანჭით. სადღაც ჩხუბში ყურჩამოგლეჯილი კატა ყაჩაღურად გამოიყურებოდა.

მეთევზის ნაამბობით დაფიქრებულმა ჯონათანმა იკითხა:

– ტბას კარგად უვლიან?

– თვითონ განსაჯე, – წაიბუზღუნა მეთევზემ, – ჩემს საცოდავ ნადავლს დახედე. მგონი თევზი ისეთივე სისწრაფით პატარავდება, როგორც მატულობს მმართველის ხელფასი.